საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მესა

მესა (ფრანგ. messe, გვიან ლათ. missa), ღვთისმსახურება კათოლიკურ ეკლესიაში, წირვა (მართლმადიდებლურ ეკლესიაში შეესაბამება ლიტურგია). ძირითადად სრულდება ლათ. ენაზე [ვატიკანის II კრებამ (1962–65) ნება დართო ჩატარდეს ადგილ. ენებზე]. მ-ს საფუძვლად უდევს რიტუალი, რ-იც სიმბოლურად გამოხატავს ღვინისა და პურის ქრისტეს სისხლად და ხორცად გადაქცევის საიდუმლოს. როგორც მუს. ჟანრი, მ. ციკლურ-ვოკალური ან ვოკალურ-საკრავიერი ნაწარმოებია, რ-იც ამ ღვთისმსახურებას (მ-ს) თან ახლავს. მ-ის ნაწილს კითხულობენ ან წარმოთქვამენ რეჩიტატივით (ლოცვანი), ნაწილი კი საგალობლებია. საგალობლებს, რ-ებსაც მ-ის დროს ყოველთვის უცვლელად ასრულებენ „ჩვეულებრივი მესა“ (The mass ordinary) ეწოდება, ხოლო საკვირაო ან სადღესასწაულო დღეებში შესასრულებელს – „განსაკუთრებული მესა“ (Missa propria). თავდაპირველად მ-ის საგალობლები ერთხმიანი იყო. მისი საფუძველი გრიგორიანული ქორალი იყო. მრავალხმიანობის განვითარებასთან ერთად ზოგიერთმა კომპოზიტორმა პოლიფონიურად დაამუშავა მ-ის საგალობლები. აღორძინების ეპოქაში მ. მუს. ხელოვნების ყველაზე მონუმენტურ ჟანრს წარმოადგენდა. მისი ძირითადი მუს. სტრუქტურა ორდინარულია და შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: 1. Kirie eleison – უფალო შეგვიწყალე, 2. Gloria in excelsis Deo – დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, 3. Credo – მრწამსი, 4. Sanctus – წმინდაო, 5. Benedictus – კურთხეულ არს, 6. Agnus dey – ღვთის კრავი. „ჩვეულებრივი მ-ის“ ტექსტების გამშვენება ხდებოდა „განსაკუთრებული მ-ის“ ორიგინალური მონოდიური ან პოლიფონიური (კომპოზიტორის მიერ დამუშავებული) გალობით. თუ ღვთისმსახურებისას „ჩვეულებრივი მ-ის“ ტექსტი მთლიანად იმღერება, ასეთ მ-ს „საზეიმო მ.“, ან „მაღალი მ.“ ეწოდება, ხოლო თუ ტექსტი სრულად ან ნაწილობრივ იკითხება, მას „დაბალი მ.“, ანუ „მოკლე მ.“ (missa brevis) ეწოდება. კომპოზიტორის მ-ის უმეტესი ნაწილი დაწერილია ორდინარული ტექსტით. ადრეული ნიმუშები თარიღდება XIV ს-ით, მ. შ. ერთ-ერთი პირველი საავტორო მ. ეკუთვნის ფრანგ კომპოზიტორ გ. დე მაშოს

(1300–77). XIV ს. ბოლოსთვის „ჩვეულებრივი მესის“ ორდინარულმა ტექსტებმა მუს. ჟანრებში წამყვანი ადგილი დაიმკვიდრა. უმეტესი მ-ები დაწერილია cantus firmus-ზე (უკვე არსებული მელოდია, რ-იც მოცემულია ერთ-ერთ ხმაში და პოლიფონიური კომპოზიციის საფუძველი ხდება). XVI ს-ში ნასესხები მელოდია შეერწყა ახლად შექმნილს, ორიგინალურს და ეწოდებოდა მ.-პაროდია. ამ ტიპის მ-ებს ვხვდებით ჯ. პალესტრინასა და ო. ლასოს შემოქმედებაში. ასევე გავრცელდა მ.-პარაფრაზები, სადაც თავისუფლად იყენებდნენ გრიგორიანულ ქორალს. XVII–XVIII სს-ში გავრცელდა მ-ები საორკესტრო ან ცალკეული სოლირებული ინსტრუმენტული თანხლებით, სადაც ზოგიერთი ხმის შესრულება ევალებოდა სოლირებულ ხმას. ასე გაჩნდა მ.-კანტატა. ვენის კლასიკოსებისა და რომანტიკოსების შემოქმედებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ორკესტრს. მ-ის ჟანრს ვხვდებით XX ს. ი. სტრავინსკის, ლ. ბერნსტაინის, ფ. პულენკის, ა. პიარტის და სხვათა შემოქმედებაში. მათ მ-ებს შორეული კავშირი აქვთ ღვთისმსახურებასთან ან საერთოდ არ აქვთ. შვედ კომპოზიტორს ფ. სიქსტენს დაწერილი აქვს „მესა ჯაზის სტილში“ (1996). 2006 ფინეთის ევანგელისტურ-ლუთერანულ ეკლესიაში პირველად ჩატარდა მ. მეტალიკური მუსიკის თანხლებით. მსგავსი ღვთისმსახურება ფინეთის სხვა ეკლესიებშიც გამეორდა. ამ ტიპის მ-ს ეწოდა „მეტალიკური“. საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბდა შემდეგი სახის მ-ები: მ. cantus firmus-ზე, მ.-პაროდია (მოტეტების, შანსონების, მადრიგალების და სხვათა საფუძველზე), კანონიკური მ., მ.-პარაფრაზი, მ.-კანტატა, რეკვიემი (მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი მ.), missa votiva (ექსტრაორდინარული, მ., რ-იც არაა დაკავშირებული საეკლ. კალენდართან. მაგ., ქორწინება, ომში გამარჯვება და სხვ.), მეტალიკური მ. მ. გვხვდება ზ. ფალიაშვილის შემოქმედებაში. საბჭ. პერიოდში, ცხადია, მ-ის ჟანრს ქართ. კომპოზიტორები ვერ შეეხებოდნენ, მხოლოდ XX ს. 90-იანი წლებიდან ჩნდება სასულიერო მუს. ჟანრები (გ. შავერზაშვილის მ. შერეული გუნდისა და ორკესტრისათვის; 1999).

ლიტ.: И в а н о в - Б о р е ц к и й M. B., «Очерк истории мессы», M.., 1910; J u n g m a n n J.A. Missarum Sollemnia. Eine genetische Erklärung der römischen Messae. B. 2. – W., 1948; 5. Aufl. – W.: Bonn, 1962; Nohl P.-G. Lateinische Kirchenmusiktexte. Übersetzung Geschichte Kommentar. Kassel, Basel: Bärenreiter, 200; Y u d k i n j. Musik in Medieval Europe. Prentice Hall, 1989.

მ. ჯაფარიძ

ე